



EaP | Eastern
Partnership

აღმოსავლეთ პარტნიორობა
2020 წლის შედეგ:
სიცოცხლისუნარიანობის
გაძლიერება – აღმოსავლეთ
პარტნიორობა ყველასთვის

#strongertogether

აღმოსავლეთ პარტნიორობა 2009 წელს დაწყებული ერთობლივი პოლიტიკური ინიციატივაა, რომლის მიზანია ურთიერთობების გაღრმავება და გაძლიერება ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებს და აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვის რესპუბლიკას, საქართველოს, სომხეთს და უკრაინას შორის.

2019 წელს, როდესაც პარტნიორობამ 10 წლის იუბილე აღნიშნა, ევროკომისიამ ჩაატარა ვრცელი და ინკლუზიური კონსულტაცია მომავალი პოლიტიკური ამოცანების განსაზღვრის მიზნით. ზოგადად, არსებობს კონსენსუსი, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა არის ძლიერი და მას რეალური სარგებელი მოაქვს მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში მთელი რეგიონის მასშტაბით.

2020 წლის შემდეგ ევროკავშირი, მისი წევრი სახელმწიფოები და პარტნიორი ქვეყნები ითანამშრომლებენ უმთავრესი პოლიტიკური ჩარჩოს - სიცოცხლისუნარიანობის გასაძლიერებლად პოლიტიკის ხუთი ამოცანის საშუალებით:

პარტნიორობა, რომელიც ქმნის

ეკონომიკის გაძლიერება გადამწყვეტია მოქალაქეთა მოლოდინების დასაკმაყოფილებლად, უთანასწორობის შესამცირებლად და პარტნიორი ქვეყნების ისეთ ადგილად გარდასაქმნელად, სადაც ადამიანებს სურთ საკუთარი მომავლის შენება. ძლიერი ურთიერთკავშირები ევროკავშირს და აღმოსავლეთ პარტნიორობას, ასევე პარტნიორ ქვეყნებს შორის, ეკონომიკური განვითარების, რეგიონული ინტეგრაციის, ვაჭრობის და მობილობის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. მისი მიზანია სათანადო სამუშაო ადგილების და ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა, პარტნიორ ქვეყნებში მცხოვრები მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

რა არის დაგეგმილი სამომავლოდ?

ევროკავშირი და მისი პარტნიორი ქვეყნები ითანამშრომლებენ ამ ქვეყნებში მდგრადი, საიმედო და ინტეგრირებული ეკონომიკის მისაღწევად:

- ✓ ვაჭრობის ზრდა და ქვეყნების ეკონომიკის შემდგომი რეგიონული და ბილატერალური ინტეგრაცია
- ✓ ორიენტირება ასოცირების ხელშეკრულებების, მასთან ერთად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის და სხვა სავაჭრო ხელშეკრულებების სრულად განხორციელებაზე, მაქსიმალური სარგებლის მისაღებად
- ✓ უფრო ძლიერი სტიმულირების უზრუნველყოფა სტრუქტურული რეფორმებისთვის, ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მცირე და საშუალო საწარმოების, განსაკუთრებით ქალი და ახალგაზრდა მენარმეების მხარდაჭერა, ზრდის და ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით
- ✓ ურთიერთკავშირების გაძლიერება ინვესტიციების ზრდით ფიზიკურ კავშირებსა და ინფრასტრუქტურაში (ტრანსპორტში, ენერჯეტიკასა და ციფრულ სფეროში)
- ✓ ადამიანებში ინვესტირების გაგრძელება, განსაკუთრებული აქცენტით ახალგაზრდებზე
- ✓ განათლების, კვლევის და ინოვაციის გაუმჯობესებული კავშირები კერძო სექტორის საჭიროებებთან.

პარტნიორობა, რომელიც იცავს

კარგი მმართველობა და დემოკრატიული ინსტიტუტები, სამართლებრივი სახელმწიფო, წარმატებული ანტიკორუფციული პოლიტიკა, ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან, ადამიანის უფლებების და უსაფრთხოების პატივისცემა, კონფლიქტით დაზარალებული მოქალაქეების მხარდაჭერის ჩათვლით, წარმოადგენს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას, რაც ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოებისა და საზოგადოებების საყრდენს წარმოადგენს.

რა არის დაგეგმილი სამომავლოდ?

ევროკავშირი და მისი პარტნიორი ქვეყნები განაახლებენ საკუთარ ვალდებულებებს პარტნიორობის საფუძვლებისადმი, განსაკუთრებით ანგარიშვალდებული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობის და უსაფრთხოების სფეროში:

- ✓ გზების შეთავაზება სამართლებრივი რეფორმების ზეგავლენის უკეთ შესაფასებლად
- ✓ სამართლებრივი სახელმწიფოს რეფორმების წინსვლის განხილვა დახმარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას; გაგრძელება ევროკავშირის სტიმულირებაზე დამყარებული მიდგომა რეფორმებში უფრო მეტად ჩართული პარტნიორი ქვეყნების სასარგებლოდ
- ✓ ევროკავშირის მხარდაჭერის უწყვეტი გაძლიერება ეკონომიკურ დანაშაულთან და კორუფციასთან საბრძოლველად
- ✓ უწყვეტი თანამშრომლობა ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების პრევენციის, მათდამი მზადყოფნის და მათზე რეაგირების მიზნით
- ✓ მხარდაჭერის გაძლიერება უსაფრთხოების დიალოგებისა და თანამშრომლობისთვის.

პარტნიორობა, რომელიც გარემოზე გრუნავს

ევროპის მწვანე შეთანხმება მკაფიოდ უჩვენებს, რომ გარემოს და კლიმატის გამოწვევები მოითხოვს დაუყოვნებელ ქმედებას ევროკავშირის და პარტნიორი ქვეყნების მხრიდან. **ნეიტრალური კლიმატისკენ** სვლის პროცესში, ევროკავშირს და პარტნიორ ქვეყნებს აქვთ ერთობლივი პასუხისმგებლობა შეიტანონ მათი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი პარიზის შეთანხმებაში და მოახდინონ საკუთარი ეკონომიკის მოდერნიზაცია, საკუთარ ქვეყნებში ნახშირბადის კვალის შესამცირებლად.

რა არის დაგეგმილი სამომავლოდ?

ევროკავშირი და პარტნიორი ქვეყნები ითანამშრომლებენ სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი მომავლისათვის:

✓ რეგიონის გარდაქმნა სამართლიან და აყვავებულ საზოგადოებად, თანამედროვე, რესურს-ეფექტიანი, სუფთა, ცირკულარული და კონკურენტუნარიანი ეკონომიკით, იმავდროულად ამ ქვეყნების **გარემოს და კლიმატის მედეგობის** ზრდით, მათ შორის ბუნებრივი რესურსების უფრო მდგრადი გამოყენების საშუალებით

✓ ახალი **მწვანე სამუშაო ადგილების** და **მწვანე გარდაქმნასთან** დაკავშირებული ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა

✓ **ადგილობრივი** და **განახლებადი ენერჯის** წყაროების განვითარება და ამგვარად, ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის შეჩერება

✓ **ეკოლოგიურ მმართველობასა** და ცნობიერების ამაღლებაში ინვესტირების გაგრძელება, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასთან გუნდური მუშაობის საშუალებით

✓ **მდგრადი და ინტელექტუალური მობილურობისკენ** გარდაქმნის დაჩქარება

✓ საქმიანობის გააქტიურება ისეთ სფეროებში, რომლებიც უმნიშვნელოვანესია **ადამიანების ჯანმრთელობის** და **კეთილდღეობისთვის**.

პარტნიორობა, რომელიც აკავშირებს

მონაცემებზე დამყარებული თანამედროვე ეკონომიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულად განხორციელდეს, თუ მოქალაქეებს და ბიზნესს აქვთ ნდობა მაღალი ხარისხის ელექტრონული კომუნიკაციის ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომ ფასად. **ევროპის ციფრული მომავლის ფორმირების სტრატეგია** მოითხოვს ევროკავშირის სამეზობლოში მძლავრი ციფრული ინფრასტრუქტურის არსებობას ზრდის და მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.

რა არის დაგეგმილი სამომავლოდ?

ევროკავშირი განაგრძობს ინვესტირებას პარტნიორი ქვეყნების ციფრულ ტრანსფორმაციაში და მიზნად ისახავს ერთიანი ციფრული ბაზრის სარგებლის გავრცელებას:

✓ დაცული და ძალიან მაღალი სიმძლავრის **ფართოზოლოვანი** კავშირის გავრცელების მხარდაჭერა, განსაკუთრებით შორეულ და ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე, და სერვისებით უზრუნველყოფა ხელმისაწვდომ ფასად

✓ **როუმინგის** და **სპექტრის** ხელშეკრულებების განხორციელების მხარდაჭერა პარტნიორ ქვეყნებს შორის, და შესაბამისობის მიხედვით - ევროკავშირთან

✓ **ელ. მმართველობის** გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში საჯარო ადმინისტრაციების ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის და რეფორმების ხელშეწყობის მიზნით

✓ ინოვაციური ციფრული **სტარტაპების** მხარდაჭერის გააქტიურება და მათი ბიზნეს-თანამშრომლობის ხელშეწყობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან

✓ პარტნიორი ქვეყნების **კიბერუსაფრთხოების** შემდგომი მხარდაჭერა.

პარტნიორობა, რომელიც აძლიერებს

გამჭვირვალე, მოქალაქეებზე ორიენტირებული და ანგარიშვალდებულებული საჯარო ადმინისტრაციები, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიის საფუძველია. ჩართულ **სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, თავისუფალი, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია**, ასევე **მოქალაქეთა უფლებების დაცვა წარმოადგენს** ძირითად ელემენტებს სიცოცხლისუნარიანი, სამართლიანი, ინკლუზიური და დემოკრატიული საზოგადოებებისთვის.

რა არის დაგეგმილი სამომავლოდ?

ევროკავშირი და პარტნიორი ქვეყნები ითანამშრომლებენ სიცოცხლისუნარიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებებისთვის:

✓ ხელისუფლების მიერ **გადანყვეტილების** მიღების პროცესში **მოქალაქეების ჩართვის** უზრუნველყოფა - დემოკრატიული სისტემების მხარდასაჭერად და ადამიანების გაძლიერების მიზნით ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად

✓ **სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების**, განსაკუთრებით მასობრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების პოტენციალის შემდგომი ხელშეწყობა, პოლიტიკის დასახვაში მათი გაზრდებულად ჩართვის, ასევე რეფორმების და საჯარო ანგარიშვალდებულების მხარდაჭერის მიზნით

✓ კარგად ფუნქციონირებადი **მედია გარემოს** და დამოუკიდებელი ჟურნალისტების ხელშეწყობა, ზუსტი და ფაქტებზე დამყარებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

✓ **საყოველთაო** სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური **ინკლუზიის** ხელშეწყობა, ქალების, ბავშვების, უმცირესობებისადმი მიკუთვნებული პირების და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობების ჩათვლით

✓ **მობილურობის** და ხალხთა შორის კონტაქტების უზრუნველყოფა უსაფრთხო და კარგად მართულ გარემოში, ასევე დაუცველი მიგრანტების და ადგილნაცვალი პირების მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

